საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ხალხებს! ყველა ქვეყნის ხალხებსა და მთავრობებს! მთელ პროგრესულ კაცობრიობას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის

მ ი მ ა რ თ ვ ა

მოხდა დიადი მოვლენა. ადამიანმა ისტორიაში პირველად განახორციელა გაფრენა კოსმოსში.

1961 წლის 12 აპრილს 9 საათსა და 7 წუთზე მოსკოვის დროით კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი „აღმოსავლეთი", რომელშიც ადამიანი იყო, ავიდა კოსმოსში, შემოუფრინა გარშემო დედამიწას და მშვიდობით დაეშვა ჩვენი სამშობლოს — საბჭოების ქვეყნის წმიდათაწმიდა მიწაზე.

პირველი ადამიანი, რომელმაც კოსმოსში შეაღწია, არის საბჭოთა ადამიანი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე!

ეს ადამიანის უმაგალითო გამარჯვებაა ბუნების ძალებზე, მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მონაპოვარია, ადამიანის გონების გამარჯვებაა. დასაბამი მიეცა ადამიანის ფრენას კოსმოსურ სივრცეში.

ამ გმირობაში, რომელიც საუკუნეებს გადაეცემა, განსახიერებულია საბჭოთა ხალხის გენია, სოციალიზმის მძლავრი ძალა.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საბჭოთა მთავრობა დიდი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ, რომ ეს ახალი ერა კაცობრიობის პროგრესულ განვითარებაში დაიწყო ჩვენმა ქვეყანამ — გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანამ.

წარსულში ჩამორჩენილ მეფის რუსეთს ოცნებაც არ შეეძლო ახეთი გმირობის ჩადენაზე პროგრესისათვის ბრძოლაში, ტექნიკურ-ეკონომიურად უფრო განვითარებულ ქვეყნებთან შეჯიბრებაზე.

მუშათა კლასის ნებით, ხალხის ნებით, რომლებიც შთაგონა კომუნისტების პარტიამ ლენინის მეთაურობით, ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. უმაგალითო სიმაღლეებს მიაღწია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

როცა მუშათა კლასმა 1917 წლის ოქტომბერში ხელში აიღო ძალაუფლება, ბევრს, პატიოსან ადამიანებსაც კი, ეეჭვებოდათ, რომ იგი შეძლებდა ქვეყნის მართვა-გამგებლობას, შეინარჩუნებდა ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თუნდაც მიღწეულ დონეს.

და აი ახლა მთელი მსოფლიოს წინაშე მუშათა კლასი, საბჭოთა კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა ინტელიგენცია, მთელი საბჭოთა ხალხი ცხადყოფენ მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო გამარჯვებას. ჩვენმა ქვეყანამ გაუხსნა მსოფლიოს ყველანაირ ხალხს. მთელი მსოფლიო ტაშს უკრავს ამ უდიდეს მოღვაწეს.

პირველი კოსმონავტი, საბჭოთა არმიის მაიორი, იური გაგარინი, საბჭოთა ადამიანთა ვაჟიკაცობისა და გმირობის სიმბოლოა. ეს გარემოება ადასტურებს და ახალი წარმატებებისათვის ბრძოლის სტიმულს მატებს მსოფლიოს მილიონობით მშვიდობისმოყვარე ადამიანს. საბჭოთა მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენტები, — ყველანი ერთსულოვნად იკრიბებიან მიტინგებზე და დემონსტრაციებზე, რათა ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი სიხარული, რათა ადიდონ საბჭოთა მეცნიერება, საბჭოთა ადამიანი.

12 აპრილს 2 საათსა და 30 წუთზე ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, მუშა-მოსამსახურეები და თანამშრომლები ამ დიუვენყარი დღის აღსანიშნავად შეიკრიბნენ მრავალრიცხოვან მიტინგზე.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა პარტიული კომიტეტის მდივანმა დოც. გ. ქანდუკაძემ.

მიტინგის მონაწილეებს მიესალმა და საბჭოთა მეცნიერების უდიდეს მიღწევაზე ილაპარაკა ჩვენი უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ევგენი ხარაძემ.

— მთელი მსოფლიო, ამბობს იგი, ამ ნამდვილად სასწაულებრივ ფაქტებზე ლაპარაკობს, საბჭოთა მეცნიერებამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ სწორედ ჩვენი ქვეყანა მოუძღვის წინ კაცობრობას.

კოსმოსის ათვისების საქმეში ნამდვილად ახალი ხანა დაიწყო. ახლა საუკუნოვანი ოცნება. ადამიანი შეიჭრა უსასრულო სამყაროს სივრცეში და შვიდობით დაეშვა თავის მშობლიურ პლანეტაზე.

ხვალ უფრო მეტი სოცრბის მომსწრენი გავხდებით. საბჭოთა მეცნიერების შემდგომ განვითარებას ვერაფერი დაუდგება წინ!..

სიტყვებით გამოდიან პროფესორი ი. გვერდწითელი, ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი, დოც. გ. კიკნაძე, ბიოლოგიის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. ტუფლეშვილი, სტუდენტთა პროფკომის თავმჯდომარის მოადგილე, სტუდენტი ნ. ნონეიაშვილი, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი შ. სახაშვილი. ისინი აღტაცებას გამოთქვამენ საბჭოთა მეცნიერების დიდ გამარჯვებაზე, კაცობრობის ახდენილ ოცნებაზე.

მიტინგის ყველა მონაწილე ზეიმობს ადამიანის კოსმოსზე გამარჯვების დღეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭო

უდიდესი აღფრთოვანებით

კოსმოსმა ვერ გაუძლო საბჭოთა მეცნიერების შეტევას, კოსმოსი აღებულია. მას პირველი ეწვია საბჭოთა ადამიანი. ეს ფანტასტიკური ფაქტი მეცნიერების უდიდესი და ბრწყინვალე გამარჯვებაა. კოსმოსურ სივრცეში ადამიანის გაშვებამ ცხადყო, რომ საბჭოთა მეცნიერება ყოვლისშემძლეა. მთელი მსოფლიო ტაშს უკრავს ამ უდიდეს მოღვაწეს.

პირველი კოსმონავტი, საბჭოთა არმიის მაიორი, იური გაგარინი, საბჭოთა ადამიანთა ვაჟიკაცობისა და გმირობის სიმბოლოა. ეს გარემოება ადასტურებს და ახალი წარმატებებისათვის ბრძოლის სტიმულს მატებს მსოფლიოს მილიონობით მშვიდობისმოყვარე ადამიანს. საბჭოთა მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენტები, — ყველანი ერთსულოვნად იკრიბებიან მიტინგებზე და დემონსტრაციებზე, რათა ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი სიხარული.

გმირობისა და გმირების სამშობლო

ჩვენი ქვეყანა გმირობისა და გმირების სამშობლოა... სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან გმირობა დამახასიათებელია გაშლილი კომუნისტური მშენებლობისათვის.

შეუძლებელია დიადი კომუნისტური პარტიის დაუღალავ მზრუნველობას არ გამოეწვია საბჭოთა მეცნიერების უმაღლეს მწვერვალზე ასვლა და საბჭოთა ადამიანს კოსმოსშიაც არ გამოეჩინა გამბედაობა და გმირობა.

გაიმარჯვა ყველაზე პროგრესულმა საბჭოთა წყობილებამ, საბჭოთა ადამიანმა.

ეს დიდი მნიშვნელობის აქტი ჩვენი კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ძალიერების დამამტკიცებელია, რაც გაზრდის მთელ მსოფლიოში სიყვარულს, პატივისცემას და თავდადებას მშვიდობისადმი.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ მეცნიერებას!

ალ. გაბეჩაძერია,
უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორი.

პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ალიგაბრძოლა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტის, აგიტაციისა და პროფკომის ორგანო

Александрд Сталинелк—орган парткома, ректората, комитета АКСМ, профкома и месткома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 13 (327) | გამოცემის მეცხრე წელი | შაბათი, 15 აპრილი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ყოველ ლეგენდას გადააჭარბა საბჭოთა ადამიანის ნებისყოფამ და გმირობამ: მფრინავმა მაიორმა იური გაგარინმა ამაყად შეაბიჯა კოსმოსში, გაიკროლა საპლანეტათაშორისო სივრცეში. რაოდენ სიხარულსა და აღტაცებას იწვევდა კოსმოსიდან წამოსული ხმა მამაცი მფრინავისა, რომ იგი თავს კარგად გრძნობს. და აი, ახლა პირველი ადამიანი კაცობრობის ისტორიაში, რომელიც კოსმოსს ეწვია, კვლავ შუამდგომეობ მიწაზე, კვლავ საამშობლოშია, რომელმაც შეაძლებინა მას ჯერ არნახული, ჯერ არგაგონილი სასწაული მოეხდინა.

სურათზე: პირველი მფრინავი კოსმონავტი, საბჭოთა კავშირის გმირი იური ალექსის ძე გაგარინი.

საბჭოთა მეცნიერების დიდი ტრიუმფი

★ ★ ★ ★

ბრწყინვალე გამარჯვება!

საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა: განხორციელდა ადამიანის მრავალსაუკუნოვანი ნატვრა — შეპრალიყო კოსმოსის უსაზღვრო სივრცეში და მას დაუფლებოდა.

ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ ამ ნატვრას პირველად განახორციელებდა ჩვენი საბჭოთა ქვეყანა, რომ პირველი კოსმონავტი იქნებოდა საბჭოთა ადამიანი, გამოხრდილი მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ, მაგრამ არავინ არ ფიქრობდა, რომ ეს ასე მალე მოხდებოდა.

დიდია ჩვენი სიხარული, განუზომელია ჩვენი ხალხის სიამაყის გრძნობა ამ შესანიშნავი მოღწეულ გამო!

პირველად ისტორიაში ადამიანი გავიდა კოსმოსში, საკუთარი თვალით და გრძნობებით აღიქვა კოსმოსური ფრენა და მშვიდობით დაბრუნდა მშობლიურ მიწაზე.

სამუდამოდ დარჩება ისტორიაში ყველა იმ საბჭოთა ადამიანისა და განსაკუთრებით კი მაორ გაგარინის სახელი, რომელთა დაუღალავი და გმირული შრომის შედეგად მომზადდა და განხორციელდა ეს შესანიშნავი ექსპერიმენტი.

პროფესორი **მათე მირიანაშვილი,**

მსოფლიო საკვირველება

უხსოვარი დროიდან კაცობრიობის მიერ გულდაგულ შექმნილი ფანტაზია სიხამდეიელად იქცა. ყველაზე სასახელო და საამაყოა, რომ იგი პირველად ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა.

საბჭოთა კავშირის მოქალაქე კოსმოსური ფრენიდან მშვიდობით დაგვიბრუნდა! — რა დიდებულად ეჯერს ახლა ეს სიტყვები.

12 აპრილი ჩვენს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება, როგორც ჩვენი მეცნიერების, ინჟინრების, ტექნიკოსების, მუშების — მსოფლიოში პირველი კოსმოსური ხეფრენა — მფრინავი მაორი იური ალექსის ძე გაგარინი იყო, ხომალდმა წარმატებით გააკეთა მეცნიერთა მიერ დასახული კვლევა, შეასრულა ფრენის პროგრამა და მშვიდობით დაეშვა საბჭოთა კავშირის ნავარაუდევ რაიონში.

საბჭოთა მშრომელები ამაყობენ მშობლიური მეცნიერების უდიდესი გამარჯვებით. დღეს კი-დევ უფრო ნათელია ლომონოსოვის დამორჩილების გრანდიოზული პერსპექტივები. მომავალი მსოფლიო იქნება მშვიდობის, ბედნიერების, ადამიანთა ბედნიერებისა და მეცნიერული აზრის ტრიუმფის მსოფლიო.

სულით და გულით ვეულოცავ საბჭოთა მეცნიერებას და კაცობრობის ისტორიის ახალ, ზღაპრულ ფურცლ — იური გაგარინს მარადუკვდავ გამარჯვებას.

ბ. მიქაბა,
ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილების I კურსის სტუდენტი.

რა ზღაპრული სინამდვილეა!

საბჭოთა მეცნიერებამ კიდევ ერთხელ ნათლად ეჩვენა მსოფლიოს, რომ იგი ყველაზე დიდი, ყველაზე ძლავრი, ყველაზე თავისუფალი მეცნიერებაა: 12 აპრილს, ამ ისტორიულ დღეს, სწორედ საბჭოთა მეცნიერებამ განახორციელა მსოფლიოში ადამიანის პირველი გაფრენა კოსმოსში — დედამიწის გარშემო ორბიტაზე გავიდა მსოფლიოში კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი „აღმოსავლეთი", რომელშიც პირველი კოსმონავტი — მფრინავი მაორი იური ალექსის ძე გაგარინი იჯდა, ხომალდმა წარმატებით განახორციელა მეცნიერთა მიერ დასახული ამოცანა, შეასრულა ფრენის პროგრამა და მშვიდობით დაეშვა საბჭოთა კავშირის ნავარაუდევ რაიონში.

საბჭოთა მშრომელები ამაყობენ მშობლიური მეცნიერების უდიდესი გამარჯვებით. ეს ამ-ოდენ ეეჭვებინა ადამიანებს, ეეჭვებინა ეეჭვებინა ეეჭვებინა

საბჭოთა მეცნიერების დიდი ტრიუმფი

★ ★ ★ ★

ასეც ვეღოდით!

ერთმა საბჭოთა კოსმოსურმა ზომალმა მთვარეს ახლოს ჩაუარა, მეორემ საბჭოთა ალამი მიიტანა, მესამემ მთვარის უკანა, ჩვენთვის უხილავ მხარეს სურათი გადაუღო და, ბოლოს აი, კოსმოსში საბჭოთა ადამიანი—მეორი იური გაგარინი ავიდა.

ასეც ვეღოდით, — პირველი კოსმონავტი საბჭოთა მიწიდან უნდა აფრენილიყო, გმირული შრომის, მშვიდობიანი ცხოვრების მიწიდან.

ალტაელებს ვერ ვმალავ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მიგეჩვევე ჩვენი მეცნიერების ახალ-ახალ სასწაულებს, სწრაფად ცვლიან ერთმანეთს და ყოველდღიურად ამტკიცებენ ადამიანის გონების უძლეველობას.

რა უსასრული ჩანან ზღაპრები საუკუნეების მიღმა დარჩენილი ფანტაზიისა და ილუზიის არქივიდან.

მკერა, მალე, სულ მალე შეეიტყობ სანატრელ ცნობას: „საბჭოთა ადამიანმა მთვარეზე შედგა ფეხი!".

მკერა და— მაშინაც ალბათ ასე გამიკვირდება, ასე გამეხარდება!

ბ. მერაბიშვილი,
უნივერსიტეტის სტუდ-ის მეშა.

პრაქტიკულ მეცადინეობას აჯარებს აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე

კორნელი კეკელიძე!— ეუმშარტად საამაყო და საყვარელი სახელია ყოველი ქართველისათვის, მით უმეტეს ჩვენი უნივერსიტეტის ალზრდილთა და ალსაზრდელისათვის. რამდენ თაობას მოუსმენია და გონებრივად დავაკაკაცებულა სახელოვანი მეცნიერის ლექციებით. დიდი ხანია წლებით დატვირთული საყვარელი პროფესორი უკვე ლექციებს აღარ უკითხავს სტუდენტებს, მაგრამ მისი ყოველი გამოჩენა ჩვენს უნივერსიტეტში საყოველთაო პატივცემის გრძნობას აღძრავს თითოეულ ჩვენგანში.

ასე იყო იმ დღესაც: დიდი პედაგოგი და მეცნიერი ნელი ნაბიჯით შემოვიდა უნივერსიტეტში და ყველასათვის სასახარულო სურვილი გამოთქვა — დაესწროს პრაქტიკულ მეცადინეობას ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში პირველკურსელ ეურნალისტებთან.

დიდი იყო სტუდენტების ალტაცება, რომ მათი მასწავლებელი, დოც. ლ. მენაბდე ალდგომრიაში მხცოვან მეცნიერს შემოუძღვა.

ჩვენი ლიტერატურის ისტორიის გამოჩენილმა მკვლევარმა და მოამაგემ თვითონ ჩაატარა პრაქტიკული მეცადინეობა... გამოიძახა სტუდენტები, გამოკითხა, მაგრამ ეს საბუთარ, დაარიგა ისინი და დიდად გახარებულმა, თითქოს გაახალგაზრდავდა ბუღმა, დატოვა აუდიტორია. სტუდენტები ქართული ლიტერატურის ისტორიის კაბინეტშიაც შეჰყვნენ მას, სამახსოვრო ფოტოსურათიც გადაიღეს მასთან ერთად და საყვარულითა და მოწიწებით გადაუხადეს მადლობა.

რაოდენ მრავლისმეტყველი და საამაყო ის ფაქტი, რომ ჩვენი დიდი მეცნიერი, უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი კორნელი კეკელიძე ხშირად მოდის უნივერსიტეტში, ჩვეული უნარიანობითა და თავდადებით ხელმძღვანელობს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის მუშაობას, ესწრება კათედრის წევრთა ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს. ეს ადასტურებს მასწავლებლებსაც და სტუდენტებსაც...

სურათზე: აკად. კორნელი კეკელიძე სტუდენტებთან ერთად.

ვილენ მარდალეიშვილი

შენ გაგიმარჯოს, კაცის მარჯვენავ!

მომილოცნია ეს გამარჯვება,
ათასჯერ მეტად, ძმებო,
იყავ დდეგრძელი, კაცის მარჯვენავ,
ახლა კოსმოსშიც მეფობ.
იყავ დდეგრძელი უკუნისამდე,
უკვდავი საქმე ჰქენი,
ადამიანი, შორს, მთვარისაკენ
ეთერს მიაპობს ფრენით.

ადამიანი, რომლის მარჯვენა
აცოცხლებს დედამიწას,
ადამიანი, რომლის ოცნება
დღეს სინამდვილედ იქცა.
მომილოცნია ეს გამარჯვებაც,
ზღვა სიხარული გეფარავს,
იყავ დდეგრძელი, კაცის მარჯვენავ,
შენ გაგიმარჯოს მარად!

სამეცნიერო კონფერენციის წინ

სტუდენტთა საუნივერსიტეტო კონფერენცია ყოველთვის ტარდებოდა რაღაც განსაკუთრებულ ვითარებაში, და ეს სავსებით გასაგებია — ჩვენთვის ეს ლონისძიება წარმოადგენს წლის განმავლობაში ჩატარებული ინტენსიური კვლევითი მუშაობის შედეგების შეჯამებას. წელს უნივერსიტეტის XXIII სამეცნიერო კონფერენციისათვის სამზადისიც ადრე დაგეწყეთ, რომ ადარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს სამზადისი დროულად დამთავრდა. გეგმაში შეტანილ იქნა უკეთესთა შორის უკეთესი მოხსენებები. მთელი მზადების განსაკუთრებული სიხალისე განპირობებულია იმით, რომ წლევანდელი ჩვენი კონფერენცია ეძღვნება ლენინსშინდა თარიღს — საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავს.

საერთოდ, ჩვენი მუშაობა კარგი, თუმცა შეიძლება უკეთესიც იყოს და ამაში საჭიროა სტუდენტთა მეტი მონდომება. ჩვენი საზოგადოების წევრ-სტუდენტთა სამეცნიერო მოხსენებების ხარისხი ყოველთვის მაღალია, ამასთან, მოხსენებათა აბსოლუტური უმრავლესობა ეგსპერიმენტული ხასიათისაა. წელს ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტთა ნაშრომები წარდგენილ იქნა როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო დათვალიერებაზე. მოსკოვში, საკავშირო დათვალიერებაზე გაგზავნილ იქნა გ. გორგილაძის და ი. ჯფთარიძის მოხსენებები. მ. ეუძენაძის მოხსენება ადინშენა ფულადი პრემიით. დეკემბერში, ჩვენი საზოგადოების საბჭოს ინიციატივით ჩავატარეთ გაერთიანებული სამეცნიერო სესია პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტთა მონაწილეობით. მომავალი კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი რ. ჯულაყიძე. ველით სტუმრებს მოსკოვიდან, რიგიდან, ვილნიუსიდან, მინსკიდან. მარტში მოსკოვში ახალგაზრდა ბიოლოგ მეცნიერ-მუშაკთა და სტუდენტთა III საკავშირო კონფერენციაში მონაწილეობენ ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები — ლ. ჯიკურიშვილი და მ. გიგინეიშვილი. ვილნიუსის უნივერსიტეტში მოხსენებით გამოვალენ სტუდენტები თ. ლეკიაკა და ჯ. გოგინაშვილი.

ბ. დიასამიძე,
ბიოლოგიის ფაკ. სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე.

რატომ არ უნდა მიეცეთ უფლება?

უნივერსიტეტის სტუდენტთა ბიბლიოთეკა სახელმძღვანელო ლიტერატურით ვერ უზრუნველყოფს ეურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, გასაჭირში იმყოფებიან უფროსკურსელები, განსაკუთრებით ეს თითქმის IV კურსის სტუდენტებზე, მათ შორის სტუდენტებმა — გ. არშბამ, ა. ჭეიშვილმა, ზ. კვირკველიამ, რომლებმაც იცოდნენ, რომ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში საჭირო ლიტერატურა მოიძებნებოდა, დახმარებისათვის მიმართეს მის ხელმძღვანელობას, მაგრამ მათგან ასეთი პასუხი მიიღეს: აქ ლიტერატურით სარგებლობა მხოლოდ ფრიადოსნებს შეუძლიათო. საერთესოა, რატომ არ უნდა ეძლეოდეს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში საჭირო ლიტერატურით სარგებლობის უფლება ისეთ სტუდენტს, რომელსაც ეფრიადების გარეთ ან ორ საგაზრო კარგი შეფასებაც აქვს.

რ. ციერცვაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კომუჯრედის ისტორიიდან

1918 წლის სექტემბერში მე და ვ. გეგეშიძე ჩამოვედით თბილისში და ჩავერიცხეთ უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის პირველ კურსზე. არ დაგვიწყებია ჩვენი პარტიული მოვალეობა (1919 წლის გაზაფხულიდან ვიყავით სამტრედიის ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრები) და მაშინვე შევუდექით ნიადაგის მოსინჯვას უნივერსიტეტში კომუჯრედის ჩამოსაყალიბებლად: გავეცანით სტუდენტთა საერთო სულისკვეთებას და დავრწმუნდით, რომ კომუჯრედის დაარსება გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ეს მალე გადალახეთ. გავეცანით ამხ. გრიშა მახარაძე, რომელიც დაკავშირებული იყო თბილისის ბოლშევიკურ კომიტეტთან და 1918 წლის ნოემბერში ორგანიზაციულად გავფორმეთ უნივერსიტეტის პირველი კომუჯრედი, თუმცა ცალკეული ბოლშევიკური ჯგუფები ადრეც არსებობდნენ. სათანადო მითითებებს თბილისის ბოლშევიკური კომიტეტისაგან ვიღებდით.

ძახსოვს: ჩვენი უჯრედის დაარსებამდე უნივერსიტეტში გამოჩნდა ბოლშევიკური პროკლამაცია, რამაც ხელისუფლება დიდად შეაშფოთა.

ჩვენი ორგანიზაცია მალე გაიზარდა. აქ თავი მოიყარეს უშიშარმა სტუდენტებმა— პატუელია ხარებავამ, აკაკი თათარიშვილმა, ლადო და ვლადიმერ ლექვაკაძემ და სხვებმა.

პირველ ხანებში უნივერსიტეტის კომუჯრედში მხოლოდ სტუდენტები ერთიანდებოდნენ. მალე თბილისის ბოლშევიკური კომიტეტის დადგენილებით ჩვენს ორგანიზაციას პროპაგანდისტთა უჯრედი ეწოდა და რამდენიმე პარტიული მუშაკიც მოგვადგა. მათ დავალებული ჰქონდათ უჯრედის წევრთა იდეურ-პოლიტიკურსა და თეორიულ მომზადებაზე ზრუნვა და მათი ბოლშევიკ პროპაგანდისტებად გამოყენება. ლექცია-სემინარებს გვიტარებდა მარქსიზმ-ლენინიზმის ყარგი მცოდნე ამხანაგი ალექსანდრე ერქომაიშვილი. თეორიულ მეცადინეობებთან ერთად თბილისის კომიტეტის დავალებით პრაქტიკულ მუშაობასაც ვეწეოდით: უნივერსიტეტის შიგნით და ქალაქშიაც ვავრცელებდით ბოლშევიკურ პროკლამაციებსა და

⊙

მ ო ბ ო ნ ე ბ ა

⊙

საბრძოლო ფურცლებს, ვეწეოდით ინდივიდუალურ აგიტაციას ცალკეულ სტუდენტებთან, ბოლშევიკური იდეების პროპაგანდას და ა. შ. გვევალებოდა, აგრეთვე, თბილისის ბოლშევიკური კომიტეტის მიერ მოწყობილ ლონისძიებებზე მუშაობა ფართო აქტივის მიზიდვა-დასწრება.

1918 წლის დეკემბერში საქართველოს მენშევიკური მთავრობისა და სომხეთის დაშნაკური პარტიის მიერ ატეხილ ძმათა სისხლისმღვრელი მეტაკების დაწყებასთან დაკავშირებით ჩვენი უჯრედი უყოყმანოდ დადგა ბოლშევიკების სწორ პოზიციაზე, რომლის აშკარად გამოხატვა ძნელი იყო ეგრეთწოდებულ „პატრიოტულად" განწყობილ სტუდენტთა ერთი ნაწილის წინაშე. მაგრამ ჩვენი კომუჯრედის წევრმა ამხ. გრ. მახარაძემ სტუდენტთა საერთო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში მკაფიოდ გამოხატა ეს პოზიცია და ამხილა მენშევიკური მთავრობისა და დაშნაკური პარტიის ანტიხალხური, მოღალატური მაჭინაცია. თბილისის ბოლშევიკური კომიტეტის გადაწყვეტილებით ცირკის ძველ შენობაში (ლბანქიძის ხიდთან) მოეწყო მუშებისა და მოსამსახურეების ხალხმრავალი კრება. ჩვენს უჯრედს დაეკალა ამ კრებაზე ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა დასწრების უზრუნველყოფა, რაც პირნათლად შეასრულეთ. კრების მსვლელობის დროს გავინაწილეთ ცირკის შენობის კუთხეები და არ მივეცით ანტიბოლშევიკურ ელემენტებს პროვოკაციების მოწყობის საშუალება.

ამ კრების პრეზიდიუმში, სხვებთან ერთად, იყო საქართველოს კომკავშირის დამაარსებელი, უფრეკი ლენინელი ბორის ძნელაძე. მომდინარე მომენტის შესახებ კრებაზე ერცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. მიხა ცხაკაია. მენშევიკთა ლიდერებმა გამოსვლა ვერ გაბედეს. გამოვიდა მხოლოდ ერთი მენშევიკი, რომელსაც „აიოლოს" სახელით ვიცნობდით. მისმა დაბნეულმა და ულოგიკო გამოსვლამ დიდი ვულისწყრომა გამოიწვია.

აქტიური მონაწილეობა მივიღეთ აგრეთვე 1919 წლის გაზაფხულზე ზუბალაშვილის სახლში (ახლანდელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრი) გამართულ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სხდომაზე.

უნივერსიტეტის კომუჯრედის წევრები, მათ შორის მეც, არაერთხელ გავუჩჩრეკიარართ და დავუპატიმრებივართ. პირველად დამპატიმრეს 1919 წლის ივნისში, სამტრედიაში, სადაც ვ. გეგეშიძესთან ერთად სპეციალური პარტიული დავალებით გაგზავნილი ვიყავი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელი ცენტრის მიერ. ციხიდან მიხა ცხაკაიასთან, მამია ორახელაშვილთან, ვალიკო გეგეშიძესთან და სხვებთან ერთად გავთავისუფლდი 1920 წლის მაისში საქართველოს მენშევიკურ მთავრობასა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე.

მეორედ 1920 წლის დეკემბერში დამპატიმრეს გაზ. „კომუნისტის" რედაქციაში, სადაც ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან გამოსვლის შემდეგ თბილისის კომიტეტის დავალებით ვმუშაობდი. ამჯერად მე და ჩემთან ერთად დამპატიმრებული სტუდენტი რევოლუციონერები — ვალიკო გეგეშიძე, საშა პაპავა, პარმენ ლეკვაკა და სხვები 1921 წლის 10 მარტს აკანყებული ხალხის მიერ საბჭოთა რუსეთის დახმარებით მენშევიკების ბატონობის დამხობის შედეგად ქუთაისის სატესაღოდან გავთავისუფლდით.

მენშევიკების სისხლიანი დიქტატურის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელთა ბრძოლის იმ დაუვიწყარ დღეებში თბილისის უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია ყოველთვის მხარში ედგა საქართველოს ბოლშევიკურ პარტიას და ეწეოდა გაბედულ ბრძოლას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

პენსიონერი ს.ვ. კიკაჩეიშვილი

ᲞᲠᲝᲤᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ

13 აპრილს ჩატარდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის კრება, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ადგილკომის თავმჯდომარემ, დოც. პრ. კეკელიძემ.

მოხსენება საკითხზე — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნვრის პლენუმის შედეგებისა და სკკპ XXII ყრილობის დირსყული შეხვედრისათვის უნივერსიტეტის პროფორგანიზაციის ამოცანები“ გააკეთა დოც. ქრისტოფორე ჯაყელმა.

სიტყვებით გამოვიდნენ: ეკონომიური ფაკულტეტის დეკანი, დოც. ვ. მელქაძე, პროფკომის თავმჯდომარის მოადგილე, სტუდ. ნ. ნინოკაშვილი, პროფ. ალ. კახნიაშვილი, ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, დოც. ლ. კუტუბიძე, სტამბის მოწინავე ასოთამწყობი ა. ელიზბარაშვილი და სხვ.

აქტივმა ყურადღება გაამახვილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში ჩვენი უნივერსიტეტის აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობაზე და მიიღო დადგენილება, რომლითაც გათვალისწინებულია, რომ:

1. პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ძალებით მოეწყოს ლექცია-მოხსენებები და საუბრები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ;

2. არდადეგების პერიოდში სტუდენტებმა შრომითი მონაწილეობა მიიღონ სოფლის მეურნეობაში, თავიანთი წვლილი შეიტანონ ნაყამირალ და ნასვენ მიწებზე მოსავლის აღების საქმეში;

3. შემოღებულ იქნეს უნივერსიტეტის პრაქტიკაში შეხვედრები სოფლის მეურნეობის გამორჩენილ ადამიანებთან;

4. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, მეცნიერ-მუშაკთა და სტუდენტთა ძალებით ჩატარდეს სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის ლექცია-მოხსენებები და საუბრები სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე;

5. გაეწიოს საშეფო დახმარება სოფლის პირობებში მომუშავე ორ საშუალო სკოლას;

6. უნივერსიტეტის სტუდენტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქალაქ თბილისის ახალ მშენებლობებსა და ქალაქის კეთილმოწყობაში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სტუდენტთა მონაწილეობას ქალაქის გამწვანებაში;

8. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალი კონტინგენტის მიღებისას სოფლის მეურნეობისა და წარმოების მოწინავე ახალგაზრდობას.

9. რექტორატთან ერთად დეკანატებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა იბრძოლონ სწავლების ხარისხის შემდგომ ამაღლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის.

10. სბპუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე სტუდენტთა საწარმოო სწავლება კიდევ უფრო დაუკავშირდეს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას;

მოეწყოს ორანჟერეა (მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრისათვის), აშენდეს ღამის გასათევი ბაზები საწარმოო პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტებისათვის.

11. მოეწყოს შავი ზღვის სანაპიროზე სტუდენტთა გამოჯანსაღებელი ბანაკი.

12. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმის დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებას.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმაში გათვალისწინებულ იქნეს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული თემები; დაწესდეს მეთვალყურეობა მათ შესრულებასა და პრაქტიკაში დანერგვაზე, ყურადღება მიექცეს: კულტურულ მცენარეთა ზონალობის დადგენას, საქართველოს მცენარეთა ბუნებრივი საფარის გამოკვლევას, სიმინდის სელექციური ჰიბრიდის პერსპექტიული ჯიშების ინტენსიურ-ფიზიოლოგიურ დახასიათებას, სამეურნეო-კულტურების — სიმინდის, ლობიოს, საკვები ბალახებისა და სხვა ჯიშების სელექციაზე ჭაიონზებელი გამოსცდების გაკეთების შესწავლას, ცხვრის ნახევრად ნაზმატყლიანი ჯიშების გამოყვანას, სოფლის მეურნეობის კულტურულ მცენარეთა ზიანის მომატან ცხოველთა ფორმების გამოვლინებასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლას, სიმინდის ზრდის სტიმულატორთა გამოვლინებასა და პრაქტიკაში დანერგვას, საქართველოს კოლმეურნეობებში მიწის ფონდების გამოყენების გაუმჯობესებას, ჩაის ფოთლისა და ციტრუსოვანთა პროდუქციის თვითღირებულებისა და ფასის საკითხების კვლევას, კოლმეურნეთა შრომის აღრიცხვა-ანგარიშგებისა და პროდუქციის თვითღირებულების საკითხის შესწავლას, საქართველოს მიწის ნიადაგის თვისებების შესწავლასა და სხვა.

13. ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფია-გეოლოგიის, ბიოლოგიის, ეკონომიური და მათემატიკის ფაკულტეტების კათედრებმა თავიანთი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დროს გააძლიერონ კავშირი წარმოებასთან და შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებთან. მეტი ყურადღება მიექცეს უნივერსიტეტის სამეცნიერო ლაბორატორიების მატერიალური ბაზის განმტკიცებას.

14. უნივერსიტეტის სტამბა-გამომცემლობამ დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულოს საგამომცემლო გეგმა, აამაღლოს შრომისნაყოფიერება და შეამციროს თვითღირებულება.

15. გატარდეს სათანადო ღონისძიებანი გენეტიკის კათედრის ჩამოყალიბებისათვის.

16. გაზ. „ახალგაზრდა სტალინელმა“ სისტემატურად გააშუქოს აღნიშნულ ღონისძიებათა შესრულების საკითხი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ე. ხარაძეს

პარტიული კომიტეტის მდივანს, დოცენტ ბ. ბაბუშვილს

ადგილკომის თავმჯდომარეს, დოცენტ პრ. კეკელიძეს

კომკავშრის კომიტეტის მდივანს, ამხანაგ ნ. ბაგთარაძეს

სტუდენტთა პროფკომის თავმჯდომარეს, ამხანაგ კ. მელიქაძეს

ძვირფასო ამხანაგებო,

გულითად მადლობას გიძღვნით თქვენ და თქვენი სახით სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და თანამშრომელთა კოლექტივს ჩემი დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო გულთბილი მოლოცვისა და კეთილი სურვილებისათვის.

დიდი პატივისცემით

აკადემიკოსი

ნ. მუსხელიშვილი

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

ᲯᲐᲜᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ — „ᲪᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲓᲠᲔᲕᲜᲔᲑᲘ“ (ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“, 1961 წ.)

ᲯᲐᲜᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘ წარᲛᲝᲣᲚᲘᲗ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ. „ᲪᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲓᲠᲔᲕᲜᲔᲑᲘ“ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲘᲗᲪ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ ᲬᲘᲜ. ᲓᲐᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲮᲚᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲮᲛᲐ ᲒᲘᲡᲛᲘᲗ ᲐᲛ ᲬᲘᲒᲜᲘᲗᲐᲜ.

თანამედროვე ახალგაზრდა ქართველი შემოქმედი,—აი, ვინ არის „ᲪᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲓᲠᲔᲕᲜᲔᲑᲘ“ ლირიკული გმირი.

შეიძლება ითქვას, რომ ჯანსულ ჩარკვიანი უფრო პოეტური თქმების სიძლიერის ეყრდნობა, ვინემ პლასტიკურ წარმომსახველობას. ტიციან ტაბიძის მშფოთვარე სული და სტიქიური ტემპერამენტი უეჭველად უფრო ახლოსაა მის ხასიათთან, ვიდრე სიმონ ჩიქოვანის ნატიფი გემოვნება და დახვეწილი მანერა. ამ ბოლო დროს პოეზიაში ფიქრი, ქვეტექსტი, მინიშნება, პლასტიკურობისაკენ სწრაფვა უფრო ნიშანდობლივია და უფრო ეფექტურიც. ამიტომ პოეტური თქმების, შეძახების სიძლიერეზე დაყრდნობა უფრო ხარისკოა და ძნელი. აქ საკითხს სწორედ ის გადაწყვეტს, თუ რამდენად ძლიერია, ემოციურია ეს თქმა, შეძახილი, რამდენად მთლიანია პოეტური პიროვნება.

„მე ვიყავ შენი ეხილ ქვითკირის,
როგორ გამექეცი,
როგორ გამეტეხე“,

ან:

„მე შენს კარებთან თოასყერ
მომკლეს
და გული მაინც ვერ გამიბზარეს“.

ან კიდევ:

„სვეი ხელად მიეხრაეს ხელში,
შენი წყურვილით პირთამდე სავსე“.

მიუხედავად ეფექტურობისა, ეს სტრიქონები სადაა და ბუნებრივი, ისე, რომ თვითკმაყოფილების, თავმომწონეობის ნიშანწყალიც არ იგრძნობა.

ამავე დროს, ჯანსულ ჩარკვიანის ლექსებში საგნის პლასტიკური წარმოსახვისაკენ, ფერწერისაკენ სწრაფვაც ძალუმად იგრძნობა:

„ალვარდივით მაღალი სული —
შენს ლურჯ თვალებში ჩადგმული
სვეტად,
აკისკისება დაპნეულ მძივის,
გაბზარულ ხმაში ვერცხლი
ჩადვრილი,
შენი ცისფერი თვალების სხივი
ახლოს მეწვება, როგორც ალვარი“,

ასეთივე სტრიქონები: „თეთრი ქორივით გაფრენილი ნისლები“, „ნისლში ქორივით გაფრენილი ალვრები“, ან კიდევ მოჩვენება მატარებლის განათებული ვაგონიდან, „თითქოს ჩირადნით გარბიან მთები, გზებს მიაკვლევენ მთები ნისლებში“ და სხვ.

გურამ რჩეულიშვილის ტრაგედიით განცდილი ლექსი „ზღვა და გუდანისკარი“ დიდი ექსპრესიითა და ემოციურობით ხასიათდება. ამ ლექსში არის ძლიერი, თითქმის შემაძრწუნებელი შედარება, რომელიც, რამდენადაც ჰიპერბოლურია, იმდენად ზუსტია და სწორად გადმოცემს გურამ რჩეულიშვილის მშფოთვარე ხასიათს, მის დაძაბულ, მორთოლავ განწყობილებას:

„მთებს ებერებათ ძარღვები კისრის
და შენ გბაძავენ გამოხედვაში“.

ასეთი სტრიქონები შემთხვევით არ იწერება, ისინი პოეტის დიდი განცდებისა და სიტყვის აზრობრივად უკიდურესი დაძვრისთვის შედეგია.

ლირიკული პოემა „მართალი ხელი“ დაწერილია მაღალი პოეტური ოსტატობით, დიდი შინაგანი წვითა და ღრმა გაგაზრებით, მასში მართლად და შთამბეჭდავადაა გადმოცემული ომის მთელი ხაშენელება. პოემის ლირიკული გმირის ხასიათში ჩაქსოვილია ხელდიდი ადამიანის, კაცობრიობის მომავლისათვის პასუხისმგებლის, მოკალაქისა და მებრძოლის მაღალი თვისებები. პოემის ლეიტმოტივია კაცთა მარადი ნატვრა და დაუძლეველი სურვილი — „ყველგან მოხახდეს მართალი ხელი, მშვიდნისა და ტკბილის გარეშე“.

უნგრეთში და ავსტრიაში მოგზაურობის შედეგად შექმნილ ლექსებში იკარნინობა ის მთლიანი, გაფორებული ხასიათი, რომელიც საქართველოს ხალხისა და ბუნების წიაღში ჩამოყალიბდა. „დიდი ქალაქი“, „ერთი პატარა ჩიტის ამბავი“, „მარია“ და სხვ. გვხიბლავენ პოეტური განწყობილებით, მხატვრული სიძლიერით, აზრის სინათლით.

საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებთა რიცხვს უნდა მივაკუთნოთ ისეთი ბრწყინვალე ლექსები, როგორიცაა „ბეთანია“, „მოდინახე“, „დიდი პაემანი“, „ლოდინი“, „ეპილოგი“, „უსასრულო სიმღერა“ და სხვ.

ჯანსულ ჩარკვიანი, როგორც პოეტი, დღითიდღე იზრდება და საინტერესო ხდება. ქართველი მკითხველი მისგან ბევრს მოელის და ფიქრობს, რომ იგი იქნება თავისი თაობის პოეტური რაზმის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი.

ᲯᲔᲛᲘᲠᲐᲜ ᲗᲘᲗᲛᲐᲠᲘᲐ



„ᲡᲐᲡᲬᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲡᲕᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ“

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ

სისტემის სამართლის კათედრის ინიციატივით მოეწყო მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის პროფ. ალ. ვარეიშვილის წიგნის — „სასწალი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი“ — საჯარო განხილვა. წიგნის გარშემო მოხსენებით გამოვიდა დოც. ბ. ფურცელაძე. წიგნის ღირსებანაკლოვანებებზე იელაბარაკეს დოც. ბ. ხარაზიშვილმა, ასისტენტმა დ. ცინცაძემ და სხვებმა.

აღსანიშნავი, რომ სასწალისა და სოციალური დაცვის ღონისძიებათა შესახებ ეს არის პირველი ქართული შრომა, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს როგორც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, ისე მეცნიერ მუშაკებს.

„ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲢᲝᲛᲘ“

წელს თბილისის სკოლებში ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა პედაგოგიურმა პრაქტიკამ კარგად ჩაიარა. ყველა ქმაყოფილი იყო,— პრაქტიკის ხელმძღვანელი მეთოდისტებიც და სტუდენტებიც. ამაში სტუდენტებს დიდი სამსახური გაუწია დოც. მარიამ თალაკვაძის „ქართული ენის გრამატიკის მეთოდიკამ“, რომელიც პირველად ჩვენმა ნაკადმა გამოიყენა. ეს ნაშრომი სამაგიერო წიგნი გახდა ქართული ენის ყველა მასწავლებლისათვის.

ამასწინათ დოცენტ მარიამ თალაკვაძის დასახელებული წიგნის განხილვა მოიწყო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სხდომაზე.

მოხსენებით გამოვიდა დოც. გ. ფალავანდიძე.

წიგნის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: აკად. გ. ახვლედიანმა, პროფ. ს. ყიფშიძემ, დოც. ლ. კვაკვაძემ, დოც. მ. ჩინჩალაძემ, წიგნის რედაქტორმა დოც. ვ. რამიშვილმა, მასწავლებელმა ნ. ბოცვაძემ, სტუდენტმა ნ. კოტრიაძემ.

როგორც რეცენზენტმა, ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა წიგნს საერთოდ მაღალი შეფასება მისცეს.

ავტორმა, დოცენტმა მარიამ თალაკვაძემ მადლობა გადაუხადა განხილვის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ ზოგიერთ შენიშვნას, რომელიც განხილვისას გამოთქმენ, გათვალისწინებს ახალი გამოცემის მომზადებისას.

ᲛᲔᲓᲔᲐ ᲠᲝᲖᲐᲫᲔ

ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲐᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

სტუდენტთა დასახმარებლად, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრამ უკანასკნელ დროს შემოიღო ეკონომიურ-გეოგრაფიუ ფილმების ხასიათის დოკუმენტალური კინოფილმების ჩვენება. მორიგებით უკვე ნენახენ კინოფილმებს საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ეკონომიური გეოგრაფიის თემებზე. სარეკლამო კინოფილმების ჩვენება ხდება ეკონომიურ-გეოგრაფიის კათედრის წარმომადგენელთა თანდასწრებით.

ამ დღეებში კათედრამ აცნობა თბილისის განათლების განყოფილებას უნივერსიტეტში ეკონომიურ-გეოგრაფიული ხასიათის კინოფილმების ჩვენების შესახებ და შესთავაზა გამოგზავნონ ყოველ ჩვენებაზე ეკონომიური გეოგრაფიით დაინტერესებული უფროსი კლასების 20—25 მოსწავლე (მასწავლებლის ხელმძღვანელობით).

კათედრის მიერ ჩატარებული ეს ღონისძიება, რომელიც სტუდენტთა ცოდნის ამაღლებას ემსახურება, კარგი და მისასალმებელი საქმეა.

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

ᲯᲐᲜᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ — „ᲪᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲓᲠᲔᲕᲜᲔᲑᲘ“ (ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“, 1961 წ.)

ᲯᲐᲜᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘ წარᲛᲝᲣᲚᲘᲗ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ. „ᲪᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲓᲠᲔᲕᲜᲔᲑᲘ“ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲘᲗᲪ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ ᲬᲘᲜ. ᲓᲐᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲮᲚᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲮᲛᲐ ᲒᲘᲡᲛᲘᲗ ᲐᲛ ᲬᲘᲒᲜᲘᲗᲐᲜ.

თანამედროვე ახალგაზრდა ქართველი შემოქმედი,—აი, ვინ არის „ᲪᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲓᲠᲔᲕᲜᲔᲑᲘ“ ლირიკული გმირი.

შეიძლება ითქვას, რომ ჯანსულ ჩარკვიანი უფრო პოეტური თქმების სიძლიერის ეყრდნობა, ვინემ პლასტიკურ წარმომსახველობას. ტიციან ტაბიძის მშფოთვარე სული და სტიქიური ტემპერამენტი უეჭველად უფრო ახლოსაა მის ხასიათთან, ვიდრე სიმონ ჩიქოვანის ნატიფი გემოვნება და დახვეწილი მანერა. ამ ბოლო დროს პოეზიაში ფიქრი, ქვეტექსტი, მინიშნება, პლასტიკურობისაკენ სწრაფვა უფრო ნიშანდობლივია და უფრო ეფექტურიც. ამიტომ პოეტური თქმების, შეძახების სიძლიერეზე დაყრდნობა უფრო ხარისკოა და ძნელი. აქ საკითხს სწორედ ის გადაწყვეტს, თუ რამდენად ძლიერია, ემოციურია ეს თქმა, შეძახილი, რამდენად მთლიანია პოეტური პიროვნება.

„მე ვიყავ შენი ეხილ ქვითკირის,
როგორ გამექეცი,
როგორ გამეტეხე“,

ან:

„მე შენს კარებთან თოასყერ
მომკლეს
და გული მაინც ვერ გამიბზარეს“.

ან კიდევ:

„სვეი ხელად მიეხრაეს ხელში,
შენი წყურვილით პირთამდე სავსე“.

მიუხედავად ეფექტურობისა, ეს სტრიქონები სადაა და ბუნებრივი, ისე, რომ თვითკმაყოფილების, თავმომწონეობის ნიშანწყალიც არ იგრძნობა.

ამავე დროს, ჯანსულ ჩარკვიანის ლექსებში საგნის პლასტიკური წარმოსახვისაკენ, ფერწერისაკენ სწრაფვაც ძალუმად იგრძნობა:

„ალვარდივით მაღალი სული —
შენს ლურჯ თვალებში ჩადგმული
სვეტად,
აკისკისება დაპნეულ მძივის,
გაბზარულ ხმაში ვერცხლი
ჩადვრილი,
შენი ცისფერი თვალების სხივი
ახლოს მეწვება, როგორც ალვარი“,

ასეთივე სტრიქონები: „თეთრი ქორივით გაფრენილი ნისლები“, „ნისლში ქორივით გაფრენილი ალვრები“, ან კიდევ მოჩვენება მატარებლის განათებული ვაგონიდან, „თითქოს ჩირადნით გარბიან მთები, გზებს მიაკვლევენ მთები ნისლებში“ და სხვ.

გურამ რჩეულიშვილის ტრაგედიით განცდილი ლექსი „ზღვა და გუდანისკარი“ დიდი ექსპრესიითა და ემოციურობით ხასიათდება. ამ ლექსში არის ძლიერი, თითქმის შემაძრწუნებელი შედარება, რომელიც, რამდენადაც ჰიპერბოლურია, იმდენად ზუსტია და სწორად გადმოცემს გურამ რჩეულიშვილის მშფოთვარე ხასიათს, მის დაძაბულ, მორთოლავ განწყობილებას:

„მთებს ებერებათ ძარღვები კისრის
და შენ გბაძავენ გამოხედვაში“.

ასეთი სტრიქონები შემთხვევით არ იწერება, ისინი პოეტის დიდი განცდებისა და სიტყვის აზრობრივად უკიდურესი დაძვრისთვის შედეგია.

ლირიკული პოემა „მართალი ხელი“ დაწერილია მაღალი პოეტური ოსტატობით, დიდი შინაგანი წვითა და ღრმა გაგაზრებით, მასში მართლად და შთამბეჭდავადაა გადმოცემული ომის მთელი ხაშენელება. პოემის ლირიკული გმირის ხასიათში ჩაქსოვილია ხელდიდი ადამიანის, კაცობრიობის მომავლისათვის პასუხისმგებლის, მოკალაქისა და მებრძოლის მაღალი თვისებები. პოემის ლეიტმოტივია კაცთა მარადი ნატვრა და დაუძლეველი სურვილი — „ყველგან მოხახდეს მართალი ხელი, მშვიდნისა და ტკბილის გარეშე“.

უნგრეთში და ავსტრიაში მოგზაურობის შედეგად შექმნილ ლექსებში იკარნინობა ის მთლიანი, გაფორებული ხასიათი, რომელიც საქართველოს ხალხისა და ბუნების წიაღში ჩამოყალიბდა. „დიდი ქალაქი“, „ერთი პატარა ჩიტის ამბავი“, „მარია“ და სხვ. გვხიბლავენ პოეტური

ᲯᲔᲛᲘᲠᲐᲜ ᲗᲘᲗᲛᲐᲠᲘᲐ

გიორგი ბაქრაძე

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 64 წლის ასაკში გარდაიცვალა ფსიქოლოგიის დოცენტი — გიორგი (გიგო) სპირიდონის ძე ბაქრაძე. მან საქართველოში პირველმა დაამთავრა (1922) ქართული უნივერსიტეტი ფსიქოლოგიის განხრით. იგი ფსიქოლოგიის კათედრისა და საქართველოში პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორიის პირველი ასისტენტი იყო და ამდენად, — ქართველ ფსიქოლოგთა უფროსი თაობის მასწავლებელიც.

1930 წლიდან გ. ბაქრაძე უკვე დოცენტია და 30 წლის მანძილზე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში: უნივერსიტეტში, ქუთაისის, გორის, სოხუმისა და თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

გ. ბაქრაძე გატაცებული იყო ექსპერიმენტული მუშაობით უმთავრესად ყურადღებას ამახვილებდა ფსიქოლოგიის საკითხებზე; მის მიერ დადგენილი ექსპერიმენტული ფაქტები შემდეგში მან შეაჯამა სადისერტაციო შრომაში.

გიგოს პიროვნებისათვის მეტად დამახასიათებელი იყო, რომ ყველგან, სადაც მას უხდებოდა სწავლა თუ მუშაობა, სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, დიდი სიყვარულით,

გიგო არაჩვეულებრივად უყვარდათ მის სტუდენტებს, კოლეგებს, მის მასწავლებელს — დიდ ქართველ ფსიქოლოგს დ. უზნაძეს.

გიგო იყო კეთილი, გულთბილი და სპეტაკი ადამიანი, თავმდაბალი, უპრეტენზიო, უბრალო, ჰუმანური ადამიანი. მისთვის სრულიად უცხო იყო ყოველგვარი კარიერიზმი და პატიმოყვარეობა და ამასთან დაკავშირებული ყველა უარყოფითი თვისებები; გიგო პრინციპული, პირდაპირი და პირში მთქმელი ადამიანი იყო!

ჩვენი ნატერა იქნებოდა, რომ ის საუკეთესო გრძნობები ის მაღალი ზნეობრივი თვისებები, რასაც გიგო უნერგავდა ახალგაზრდობას — თავის მრავალრიცხოვან მოწაფეებს, არ ამოშლილიყოს მათი გულიდან.

პროფ. **რევაზ ნათაძე**

თვითშემოქმედება კარგი გვაქვს, მაგრამ...

უნივერსიტეტის თვითშემოქმედებას კარგი ტრადიციები აქვს. თუნდაც ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია სიმფონიური ორკესტრი, რომ მოცეკვავეთა ანსამბლი ერთ-ერთი წამყვანი ანსამბლია რესპუბლიკაში, კარგზე მეტყველებს. ჩვენმა მხატვრული თვითშემოქმედების კოლეკტივმა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე კარგი შეფასება დაიმსახურა. ასევე კარგად გამოვიდა იგი ქ. რიგაში გამართულ მეგობრულ კონცერტებზე.

ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზეა, წარმატებებია, მაგრამ განა ჩვენი მხატვრული თვითშემოქმედება ისეთია, როგორიც უნდა იყოს?... ვფიქრობ, რომ არა. განა ჩვენი თვითშემოქმედება ? კოლეკტივით (სიმფონიური ორკესტრი, მოცეკვავეთა ანსამბლი და შემდერალთა გუნდი) უნდა ამოწურებოდეს?

უნივერსიტეტში იყო დრამწრე, კინომოყვარულთა და სხვა წრეები. რატომ დაიშალნენ ისინი, მიზეზი უცნობია. უდავოდ საჭიროა ამ წრეების აღდგენა. არ იქნება ურიგო ისიც, რომ უნივერსიტეტში ჩამოყალიბდეს კარგი სიმფონიური ორკესტრი.

რეზერვის უყოლობა — ესეც ერთ-ერთი ნაკლია საუნივერსიტეტო თვითშემოქმედებითი წრეებისა. ეს რეზერვი ფაკულტეტების თვითშემოქმედი კოლეკტივებიდან უნდა მოვიდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ფაკულტეტების კომკავშირული და პროფკავშირული ჰაქტივის უფლისყურო დამოკიდებულება ამ მნიშვნელოვანი საკითხისადმი პრობლემას ვერ გადაწყვეტს. ვერ დავსახელებთ ვერც ერთ ფაკულტეტს, სადაც თვითშემოქმედება ჯეროვან სიმაღლეზე იდგეს. შეიძლება შეგვედოთ და გვითხრან, რომ ამის შესაძლებლობა ფაკულტეტზე არ არსებობ, მაგრამ თუ ადრე იყო ეს შესაძლებლობა, ახლა რა მოხდა ასეთი? თუ გასულ წლებში უნივერსიტეტის სცენაზე გამოდიოდნენ ფაკულტეტების მომღერლები და მოცეკვავები, თუ იდგებოდა პიესები არა მარტო მშობლიურ ენაზე, არამედ ინგლისურ, გერმანულ და სხვა ენებზე, განა ახლა ალარ არის ამისი შესაძლებლობა?

შესაძლებლობა არის და ძალიან დიდიც, მაგრამ მონდომება, მთელი სულითა და გულით მუშაობა საჭირო, ამ მუშაობას კი გაუწევენ ფაკულტეტების კომკავშირული და პროფკავშირული ბიუროები, მათი ჰაქტივი.

ფაკულტეტების კულტმასობრივი მუშაობა შეზღუდულია. იგი ამოიწურება გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრებთან; კოლექტიური სვლებით თეატრებსა და კინოთეატრებში. ეს კარგია მაგრამ, ცხადია, საკმარისი არ არის.

მაგალითად, ფილოლოგების „ზეპირი ჟურნალი" კარგი წამოწყებაა, მაგრამ იგი გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ჟურნალის ერთ-ერთ გვერდად თვით ფილოლოგების შემოქმედება ყოფილიყო ნაჩვენები. ეს კარგ შეიბეჭდილებას დატოვებდა როგორც მოწვეულ სტუმრებზე, ისე მაყურებლებზეც.

უღიმღამოდ ტარდება ფაკულტეტების დასვენების საღამოები. დასვენების საღამოს ყველაზე ძნელად გადასაწყვეტი რადიოლისა და ფირფიტების პრობლემაა, ე. ი. მაი შოვნა, მოტანა. დასვენების საღამოს დასასრულს იმართება კონკურსი ქართული ცეკვების საუკეთესო შესრულებაზე. როგორც წესი, ამ კონკურსში გამარჯვებული ხოსო ბუხაიძე გამოდის. ესაა და ეს. განა ასე უნდა ტარდებოდეს დასვენების საღამო? განა ამით უნდა ამოიწურებოდეს ფაკულტეტის მხატვრული თვითშემოქმედება?

ფაკულტეტების მხატვრული კოლექტივები უნდა იყოს რეზერვი საუნივერსიტეტო თვითშემოქმედებისა, ფაკულტეტებიდან უნდა ივსებოდეს და კომპლექტდებოდეს უნივერსიტეტის მხატვრული კოლექტივები.

თუ ფაკულტეტების ბიუროები მთელი მონდომებით მოჰკიდებენ ხელს საქმეს, ეს ნაკლი გამოსწორდება და ჩვენი თვითშემოქმედება ნამდვილად იქნება ისეთი, როგორიც მას მოეთხოვება.

ნოდარ ნონიაშვილი,
სტუდენტთა პროფკომის თავმჯდომარის მოადგილე.

სამეცნიერო კონფერენციის წინ

ჩვენი უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრე კარგად მუშაობს. რეგულარულად ეაწყობთ წრის სხდომებს, რომლებზეც გაგაქვს საინტერესო მოხსენებები. ყოველ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას წრე მოიზადებული ხვდება, მაგრამ წრის მუშაობა მაინც სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე მოწმდება ყველაზე კარგად. ამ კონფერენციისათვის მზადებას ჩვენი წრე ადრიდანვე შეუდგა. ვიცოდით, რომ კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია.

ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრეს მოამზადა და კონფერენციაზე გაიქეს 10 მოხსენება. მოხსენებები სურგილის მიხედვით აირჩიეს წრის წევრებმა. ზოგიერთი მათგანი დიდი ხანია მუშაობს შერჩეულ თემაზე და, ცხადია, კარგ შედეგსაც ეფდა ელოდეს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყველა თემა წინასწარ არის შეთანხმებული სათანადო კათედრებთან, მოწონებული და დამტკიცებულია მათ მიერ.

სტუდენტებიდან, რომლებიც სამეცნიერო კონფერენციაზე განსახილველ მოხსენებებზე მუშაობენ, უმრავლესობა სწავლის ფრაიდოსანია. ესეც, ალბათ, დადებით გავლენას მოახდენს კონფერენციის ჩატარების ხარისხზე. სამეცნიერო კონფერენციისათვის შერჩეული თემებიდან ყურადღებას იქცევენ V კურსის სტუდენტების — ა. ტყემალაძისა, ხ. მზეიძისა და ჯ. კაცაძის, აგრეთვე II კურსის სტუდენტ გ. შუშანაშვილის მოხსენებები. მოხსენებლებს სათანადოდ ეხმარებიან მეცნიერ-ხელმძღვანელები საჭირო კონსულტაციების ჩატარებით.

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გამოიჩენენ ინტერესს წრის წევრები, როგორ მონაწილეობას მიიღებენ ისინი ფონფერენციაზე. მით უმეტეს, რომ ჩვენ ველოდებით სტუმრებს საბჭოთა კავშირის ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლიდან.

რ. შარაშენიძე,
ფილოსოფიის სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამგეობის თავმჯდომარე.

ლექციების შემდეგ — შაბათობაზე

საამაყოა როცა ჩვენს სტუდენტებზე ისმის — კარგი საქმის ინიციატორები ხართო.

ამ დღეს ისინი ლექციების შემდეგ, უნივერსიტეტის ეზოში შეიკრიბნენ და ხალისიო გაემართნენ სპორტის სასახლისაკენ. ეზართაზარ შენობას, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იქნება ჯელ საბჭოთა კავშირში, კარგა ხანია მოხსენს ხალჩაჩიები და ახლა უკანასკნელი სამეშოებიდან ეიარნა. რის შემდეგაც მალე იგი სპორტსმენთა გასაკარგულებაში გადავა.

მთაბეთიანეზე ორგანიზებულად გამოვიდნენ და ენერგიულად იმართეს ბომბეკალმი ფილოლოგებმა ავთანდილ ბუხრაშვილმა; ზაურ ალალაქი, კოტა ალეფოროვიანი და სხვებმა.

12 ამრიელ ასეეე კარგად იმეშავეს შაბათობაზე. მისულმა 100-ზე მეტმა ფიზიკოსმა. მშენებლობის ხელმძღვანელმა მაღლობა დაიმსახურეს: ჩიკვილაძემ, ბაკოფოვმა, ლატაშოვმა, ბერტანიანმა და სხვ.

მაგრამ ყველა ფაკულტეტის სტუდენტებმა ერთნაირი ხალისით რომ გამოჩინნა ამ საქმეში მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა შაბათობაზე მხოლოდ 5 სტუდენტის გამოყვანა შეძლო. ხოლო მათგან გიორგ ჩხარტიშვილმა იმის ნაცვლად, რომ ამხანაგებს მხარში ამოდგომოდა, ბრიმას თავი აარიდა და სხვებსაც ხელი შეუშალა.

საჭიროა, ფაკულტეტის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ამგვარი სტუდენტების მიმართ სათანადო საზოგადოებრივი აზრი შექმნან.

ჯ. გოდელი

სპორტი

ჩვენი კალათბურთელების გამარჯვება

ამ დღეს კალათბურთის მოედანზე მაყურებელთა ტაეა არ იყო, ჩვენი უნივერსიტეტის ქალთა და კაცთა გუნდები აქ ამხანაგურ შეხვედრას მართავდნენ მიჩიგანის უნივერსიტეტის სტუდენტებთან... საესტრადო ორკესტრის მოწაფლეებთან.

პირველად მოედანს ქალი კალათბურთელები დაეუფლენ. ქართველმა სტუდენტებმა თამაში მაღალ ტემპში დაიწყეს. ჯერ ჩინ გაიკრეს, შემდეგ კი შეხვედრა თავიანთ სასარგებლოდ — 27:15 დაამთავრეს.

ეიჯი კალათბურთელების მოედანზე გამოჩენას მაყურებლები ტაშით შეეგებნენ.

პირველი წუთებიდანვე წარმატებას აღწევენ ჩვენი სტუდენტები. ამერიკელებიდან აქტიური თამაშით გამოირჩევიან ოლბერტ ვერენი (13) და ეუჯინ გოშზალესი (7), რომლებიც მოხდენილი გადაცემებიდან ფარის ქვეშ ხშირად ვაღიან და ზურთს ოსტატურად ბადეში თავსეენენ.

პირველ ნახევარში აღებული თავბრუდამხვევი ტემპი ქართველმა სტუდენტებმა ბოლომდე შეინარჩუნეს და ეს საინტერესო შეხვედრა მოიგეს კიდეე ანგარიშით 48:36.

ა. კორინთელი

ნაწვიმარ გზაზე

ნახატი რევაზ გაბრიაძისა

ჩვენი უნივერსიტეტის მოფარიკაკვეთა გამარჯვება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად ქ. ქუთაისში 2 დღეს გრძელდებოდა გუნდური პირველობა ფარიკაობაში ჩვენი რესპუბლიკის უძველესეს კოლექტივებს შორის. უნივერსიტეტის მოფარიკაკვეთემ გაანაზღაურა თამაში აჩვენეს და დაძაბული ბრძოლებს შემდეგ გუნდური პირველი ადგილი დიაკავეს.

სინქრონი

ლექსი

სარეულიანი სახელები

ტბა მასსაჩუნებში

ამერიკაში, მასსაჩუსეტის შტატში, არის ტბა, რომლის სახელწოდება თავისი სიგრძით არ ჩამორჩება მის სილაბიზეს. ამ ტბის ჰქვია: **ჩარგოგგაგგამან ჩოგგაგოგჩავანაგანგ ა ო ო გ ბ.** ტბის სახელწოდების სიდიდეს ვერ გრძნობენ ადგილობრივი მეცხოვრებნი, რომლებიც შედარებით ჩქარა წარმოთქვამენ ამ სახელს, ვიდრე. ეაცნოელები.

ქალაქი ლანგირი

კუნძულ ინგლისის სამხრეთ — აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს ერთ-ერთი სადგური და ამავე სადგურის სახელწოდების ქალაქი, რომლის სახელი, სიდიდის მხრივ, შეიძლება მსოფლიოში რეკორდად ჩაითვალოს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ქალაქის მეცხოვრებთა რიცხვი ქალაქის სახელწოდების ასოთა რიცხვის უკუპროპორციულია. ინგლისის დედაქალაქ ლონდონში შეიძლება მგზავრმა აღლის ბილეთი რკინიგზის ამ სადგურამდე... მაგრამ სამშობლოს არ დაადგეთ-დეს მატარებელზე, სანამ წარმოთქვამს აღნიშნული სადგურის სახელწოდებას. ამ ქალაქს ვალიერ ენაზე ჰქვია: **ლლანვაირპულგუინგი ლლგოგერიგუერნდორო ბ უ ლლანტისილიოგო ბ ო - გოგო.** ეს ქალაქის სრული სახელწოდებაა, რომელსაც ადგილობრივი მეცხოვრებნიც კი იმეორებენ ხოლმე ... (ლლანვირი) მიმართავენ.

ესპანელთა სახელები

ესპანეთი ერთ-ერთი სახელმწიფოა მსოფლიოში, სადაც ადამიანს მრავალსართულიან სახელს ატარებენ. როდესაც ესპანელებზე წიგნებს ეკითხულობთ, ან ესპანურ ლიტერატურას ეცნობით, შეეგუნენეთ რომ ამა თუ იმ პირს ერთად შეეროვებული რამდენიმე **სახელი** ჰქვია.

ჯელად ესპანეთში ეკლესიის მსახურები, ცრუმორწმუნე კათოლიკეები, ნათლობის დროს ბავშვს ერთდროულად ატარებენ ორ ან მეტ სახელს, რათა „ეზა-კვალი ავიხნა" აესულებისა და ეშმაკებისათვის, აგრეთვე „ეოულისშემძლე" ზეციური ღმერთისთვისაც კიმრავალი სახელი ერქვოდა არა მარტო ესპანელებს, არამედ სხვა ქვეყნის კათოლიკებსაც.

ეი, როგორი სახელი ერქვა მეცხრამეტე საუკუნეში ესპანეთის ტახტის ერთ-ერთ მეპატრონეს: **„დონ პედრო დალკანტარა მარია ფერდინანდის პონ ს

გო კხავიერ მიგუელ გაბრიელ რაფიელ ანტონიო ლეონელლი ონო ფრანსხინო კო დასნიი და საქსენ კომერგ გოტა დე ბრაგანცა ბურბონ.**

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავალად შეიძლება.

მიხეილ ჩაგუნავა

რედაქტორი ირ. ვეშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 2—88—34

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა, ი. ჭავჭავაძის **გამზირი** № 1, ტირაჟი 1 500, უე 00217